www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 28 სექტემბერი, 2013 წელი. | №3375 (182) | ფასი 50 თეთრი

20 წელი სოხუმის დაცემიდან

1993 წლის 27 სექტემბერს, 13 თვისა და 13-დღის შემდეგ, ტერიტორიული მთლიანობისთვის საქართველოს ბრძოლა სოხუმის დაცემით დასრულდა. ომმა აფხაზეთში 15 ათასამდე ქართველი იმსხვერპლა, 300 ათასი ადამიანი კი დევნილად აქცია.

სოხუმის დაცემის დღეს რუსმა ოკუპანტებმა და აფხაზეთის აპარტეიდული რეჟიმის წარმომადგენლებმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა 30-მდე ქართველთან ერთად დახვრიტეს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ზურაბ აბაშიძეს კვიპროსი გაახსენეს

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის საკითხთა დროებითი კომისიის, საგარეო ურთიერთობათა და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე გუშინ დეპუტატების კითხვებს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე პასუხობდა.

აბაშიძემ თავდაპირველად რუსეთის ხელისუფლებასთან დაწყებული მოლაპარაკებების ორმხრივი ფორმატის შედეგებზე ისაუბრა. მისი ინფორმაციით, მიმდინარე წლის ბოლომდე საქართველოში რუსი ტურისტების რაოდენობის მილიონამდე გაზრდაა მოსალოდნელი. როგორც აბაშიძე აღნიშნავს, პრინციპში, ამისთვის ხელისუფლებას განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია.

აბაშიძე რუსეთთან არსებულ სავიზო რეჟიმსაც შეეხო და აღნიშნა, რომ რუსეთი სავიზო რეჟიმის გაუქმებას არა, მაგრამ გამარტივებას გეგმავს. **„ნათესაური, პროფესიული კავშირებისა და ბიზნესურთიერთობებისთვის ვიზების გაცემა გაადვილდება. ცვლილებას დადებითად უყურებენ რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც ბიზნესის საქართველოში წამოღებაზე ფიქრობენ,“** - ამბობს ზურაბ აბაშიძე.

რუსეთთან რეგულარული ავიარეისების აღდგენის კუთხით კი, როგორც აბაშიძე ამბობს, პრობლემები შეიქმნა. მისი ინფორმაციით, ქართულ ავიაკომპანიებს რუსეთის სანავიგაციო სამსახურების მიმართ 700-800 ათასი აშშ დოლარის ოდენობით დავალიანება აქვთ. **„ის ავიაკომპანიები, რომლებმაც ეს ფული უნდა გადაიხადონ, დღეს აღარ არსებობენ,“** - შენიშნავს ზურაბ აბაშიძე.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ჯერ - „Выездные визы“, შემდეგ - ინტერნეტის აკრძალვა?!

დათო გამისონია

გუშინ სოციალურ ქსელებში კრიტიკის საგანი გახდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების, ვიცე-სპიკერ ზურაბ აბაშიძისა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ირინა იმერლიშვილის საკანონმდებლო ინიციატივა. კანონპროექტი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს, რომელთა თანახმადაც, საქართველოდან დროებითი გასვლის უფლების შეზღუდვის საფუძვლების ჩამონათვალი იზრდება.

მოქმედ კანონში ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეს შეიძლება, უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასასვლელად საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე ან პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე: ა) თუ იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ; ბ) თუ წარმოადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს („გ“ ამოღებულია).

კანონპროექტი „დ“ ქვეპუნქტის დამატებას ითვალისწინებს, რომლის თანახმად, ქვეყნიდან გასვლის შეზღუდვის მიზეზი შესაძლოა, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესები გახდეს.

ირინა იმერლიშვილის მტიცებით, კანონპროექტი საქართველოს მოქალაქეების ქვეყნიდან გასვლის საკითხზე არანაირ შეზღუდვას არ აწესებს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

დასავლეთი ირანის ტონის შეცვლას მიესალმება

ივა შილაკაძე

ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰამად ჯავად ზარიფი ირანის ბირთვული პროგრამის საკითხზე „ექვსეულის“ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, რუსეთი და გერმანია) საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდა. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებსა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონი, რომელიც ასევე მუდმივად ჩართულია ამ მოლაპარაკებებში. შედგა აგრეთვე აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ კერისა და ჯავად ზარიფის ორმხრივი შეხვედრაც. ასეთი დონის ორმხრივი შეხვედრა 2007 წლის შემდეგ არ გამართულა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643	↓
1 ევრო	2.2110	↓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933	↓
1 თურქული ლირა	0.8622	↓
100 რუსული რუბლი	5.0433	↓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4 საქართველოს სტუდენტური რადიო

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

„რედინგი“ ადასტურებს, რომ დვალი შეიძინა

ინგლისის საფეხბურთო მოედნებზე ზურაბ ხიზანიშვილის შემდეგ ქართველთაგან არავის უთამაშია. დღეიდან კი ამ მხრივ ვითარება უნდა შეიცვალოს, რადგან საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრი, ამიერიდან კი რიგის „სკონტოს“ მოთამაშე ლაშა დვალი, ჩემპიონშიპის კლუბ „რედინგში“ ოფიციალურად ჩაირიცხა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ფოტოსახეები ლეიდენის ისტორიიდან

ფესტივალი „იბერია“ ერვინ ოლაფის ფოტოგამოფენას უმასპინძლებს

ია ვეკუა

თავდაპირველად ამ ნამუშევრებს როგორც ჰოლანდიური მხატვრობის ნიმუშებს, ისე აღიქვამ. რამდენიმე წამიანი დაკვირვების შემდეგ კი ხვდები, რომ საქმე ფოტოგრაფიასთან გაქვს, მათზე აღბეჭდილი ადამიანების სახის თანამედროვე ნაკვთები კი ყველა ეჭვს გიფანტავს და რწმუნდები, რომ დროში მოგზაურობიდან დაწყებული ნებისმიერი ვერსიის მისაღებად მზად ხარ. სწორედ ასეთ ირეალურ განწყობას ტოვებს ფოტოხელოვან ერვინ ოლაფის ერთ-ერთი უკანასკნელი ფოტოპროექტი, რომელსაც უახლოეს მომავალში ჩვენს საგამოფენო სივრცეში ვიხილავთ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

20 წელი სოხუმის დაცემიდან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სოხუმის შემდეგ, 29 სექტემბერს - უკვე ოჩამჩირე, ხოლო 30 სექტემბერს გალიც დაეცა და შედეგად, აფხაზეთი მთლიანად ოკუპანტების ხელში გადავიდა.

ამ თარიღის გამო გუშინ გმირთა მემორიალთან მთავრობა, პრემიერის ხელმძღვანელობით, სრული შემადგენლობით იმყოფებოდა. მათ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ეს დღე ომის ტრაგიკულ შედეგებს, ნგრევას და უსახლკარობას გვახსენებს.

„უდიდესი დანაკლისი განვიცადეთ ამ ომში ქართველებმა და აფხაზებმა. ვერავინ დაგვიბრუნებს დაღუპულებს, იმ დიდ დანაკლისს. პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას. ძალიან მძიმეა დვენილი მასახლეობის ხვედრი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ, რომ მათ ქვეყანაში ღირსეული ცხოვრება შეეძლოთ, ღირსეული ინტეგრაცია მოახდინონ. მანამ გავაგრძელებთ დახმარებას, სანამ არ დაუბრუნდებიან საკუთარ სახლს-კარს,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, მთავრობა უნდა დაეხმაროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფ ქართულ მოსახლეობას და აფხაზებსაც, რადგან **„მათ არანაკლებ მძიმე ხვედრი აქვთ.“** ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ თუ ქართველები და აფხაზები ერთმანეთში ნდობის აღდგენას მოვახერხებთ, ამას რუსეთის ფედერაციაც გაუწევს ანგარიშს.

„სირცხვილია, რომ 21-ე საუკუნეში ჩვენ გვიწევს პირობითი და მოგონილი გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს ცხოვრება. 20 წელი გავიდა და უნდა გავაკეთოთ დასკვნები, მოვახერხოთ ჩვენი მტკიცე ხასიათით, ჩვენი ისტორიის პატივისცემით დავიწყოთ ურთიერთობების აღდგენა. სხვა ხელისუფლებებისგან განსხვავებით, აბსოლუტურად გამორიცხულია, რომ ჩვენ რაიმე ტიპის აგრესიაზე ვიფიქროთ. ჩვენ მხოლოდ ძმობით, მხოლოდ სიყვარულით უნდა შევძლოთ და დავიწყოთ ურთიერთობების აღდგენა. ახალი ხელისუფლება ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი გავხდეთ. ჩვენ ჭეშმარიტად მოვახერხებთ და ავაღორძინებთ საქართველოს და შეიძლება, ამის საფუძველზე დავაბრუნოთ ნდობა ძმებს შორის, ჩვენ ვიქნებით გულწრფელნი ურთიერთობაში. დარწმუნებული ვარ, ამას მხარს დაუჭერს საერთაშორისო თანამეგობრობა. თუ ჩვენ მოვახერხებთ, ერთმანეთის ღრმა პატივისცემით აღვადგინოთ ერთმანეთში ნდობა, დარწმუნებული ვარ, ამას რუსეთის ფედერაციაც ანგარიშს გაუწევს. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენზე. ჩვენ გულს გავუხსნით ჩვენს ძმებ აფხაზებს. მათ უნდა მოესვლებოდეთ და ისინი ე.წ. საზღვრებს აქეთ უნდა გადმოვიდნენ. ჩვენ პირველებმა დავიწყოთ. ჩვენ ამის მზაობა გვაქვს. 20 წელი, რომელიც ამ ტრაგედიიდან გავიდა, დიდი დროა და დროა, დავიწყოთ ურთიერთობების აღდგენა,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, 20-მა წელმა არ გაანელა ის ტკივილი და სიცარიელე, რაც ქართველი ვაჟკაცების დაღუპვამ დატოვა. ალასანიას შეფასებით, ტკივილი შესაძლოა, მხოლოდ მომავლის იმედმა შეავსოს.

„განსაკუთრებით მინდა, აფხაზეთიდან ეთნიკური წმენდის შედეგად გამოდევნილ ქართველებს და ჩვენს საზოგადოებას მივმართო. ჩვენი რწმენა და ისტორიული გამოცდილება გვეუბნება, რომ აუცილებლად დავდგებით ფეხზე და ჩვენს ტერიტორიულ სხეულს გავამთლიანებთ. ეს გარდაუვალია, მაგრამ ამას დიდი სიმტკიცე სჭირდება, რის მაგალითსაც ამ კედელზე ჩვენი გმირების გვარები კიდევ ერთხელ გვახსენებს,“ - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში გმირთა მოედანზე უფრო ღირსეული მემორიალი იქნება.

მისი თქმით, თავდაცვის სამინისტრომ უკვე გამოაცხადა კონკურსი და დარწმუნებულია, რომ საუკეთესო ვარიანტი გაიმარჯვებს.

„ჩემთან ომის ვეტერანების მრავალი ოჯახის წევრი იყო მოსული. მათ მემორიალის განახლება სურთ, რადგან მას ძალიან ბევრი გვარი აკლია. დარწმუნებული ვარ, ჩვენ მიერ გამოცხადებულ კონკურსში საუკეთესო ვარიანტი გაიმარჯვებს და იქნება უფრო ღირსეული ვარიანტი, სადაც ყველას, მათ შორის 2008 წლის ომში დაღუპული გმირების სახელებიც იქნება დატანილი, - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

ამასთან, გუშინ ირაკლი ალასანია აფხაზეთის ომში დაღუპული გმირებისთვის პატივის მისაგებად დიღმის ძმათა სასაფლაოზე მივიდა.

„20 წელი გავიდა უკვე, მაგრამ ეს დღე გუშინდელი დღესავით გვახსოვს ყველას, ვინც იქ ვიყავით. ეს იყო დიდი გმირობის მაგალითი. განსაკუთრებით ის ბიჭები, ვინც აქ არიან დასაფლავებულები, არ გაექცნენ ურიცხვ მტერს. ეს იყო შეგნებული, გააზრებული გმირობის მაგალითი. ყველამ იცოდა, რომ იქ დარჩენა პრაქტიკულად ნიშნავდა იმას, რომ ისინი ცოცხლები ვერ გამოვიდოდნენ, ამიტომ ეს ერთ-ერთი მაგალითია ჩვენი მრავალათასწლიანი ისტორიიდან, რომელიც ჩვენს სულიერ სიმხნევეს, სიმტკიცეებს ამყარებს. მათი გარდაცვალებით გამოწვეული დიდი სიცარიელე ერთადერთით - მომავლის რწმენით შეიძლება შევავსოთ. საქართველო ყოფილა დანაწევრებული, მაგრამ ყოველთვის ფეხზე დამდგარა. ასე მოხდება ახლაც,“ - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრს ძმათა სასაფლაოზე აფხაზეთის ომში დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებიც დახვდნენ.

გარდა ამისა, თავდაცვის მინისტრი, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან ერთად, ათასზე მეტ ომის ვეტერანს შეხვდა.

შეხვედრა ირაკლი ალასანიამ გახსნა, რის შემდეგაც სიტყვა გიორგი მარგველაშვილს გადასცა. პრეზიდენტობის კანდიდატმა სამძიმარი გამოუცხადა 20 წლის წინ აფხაზეთის ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა.

გუშინ გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკო აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმაც. მისი თქმით, ოცი წლის შემდეგ ვითარების ნორმალიზაცია მისი პერსონალური ინტერესია.

„დღევანდელ დღეს, პერსონალურად ჩემთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მე 20 წლის წინ ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენციის დელეგაციის შემადგენლობაში სოხუმში ვიმყოფებოდი. 1993 წლის აგვისტოში, მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს გვთხოვა, სოხუმში ჩავსულიყავით და შექმნილ ვითარებას ადგილზე გავცნობოდით. მან გვთხოვა, შეგვეფასებინა გარდაუვალი საფრთხე, რომელიც ქალაქს ემუქრებოდა, დავხმარებოდით ამ ქალაქს საფრთხის თავიდან აცილებაში, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა, თავიდან აგვეცილებინა სოხუმზე შეტევა და მისი დაცემა. ჩემი პერსონალური ინტერესია 20 წლის შემდეგ ვითარების ნორმალიზაცია, რაც ჰუმანიტარული კავშირებით უნდა დაიწყოს, როდესაც ადამიანებს აღარ ყოფენ ხელოვნური ბარიერებით, როდესაც ადამიანებს აქვთ საშუალება, მოინახულონ წინაპართა საფლავები და დაამუშაონ თავიანთი მიწის ნაკვეთები. იმედი გვაქვს, საზღვრის გავლების პროცესი დასრულდება და ჟენევის მოლაპარაკებებზე პროგრესს მივაღწევთ,“ - განაცხადა ნორლანდმა.

სოხუმის დაცემის 20 წლისთავზე გმირთა მოედნიდან მსვლელობა ორი მიმართულებით მოეწყო. ახალგაზრდებისა და სამხედროების ნაწილი სამების ტაძრისკენ გაემართა, სამხედროების მეორე ნაწილი კი ვაშლიჯვარში, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალთან მივიდა.

მსვლელობის მონაწილეებმა სამებაში აფხაზთა და ქართველთა შერიგებისთვის პატრიარქის კურთხევით ახლად დაწერილი ხატი მიიტანეს.

ხატის მიტანის შემდეგ სამებაში წირვა გაიმართა.

ილია II-მ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო, წმინდა ნინოს ოქროს ორდენი მიანიჭა. პატრიარქის თქმით, ამ ჯილდოს ტარების უფლება უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ექნება, შესაბამისად, პატრიარქმა გუშინ ეს ჯილდო გია გვაზავას გადასცა.

ქადაგების დასრულების შემდეგ პატრიარქმა ტაძარში აფხაზეთის ომის დროს დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

„ჩვენ დღეს ვლოცავთ არა მარტო ქართველებს, არამედ აფხაზებსაც, სხვა ერის წარმომადგენლებს. მე კიდევ მინდა, ვთქვა, რომ ეს ხელოვნურად დაწყებული ომი იყო და ქართველები და აფხაზები გრძნობენ ამას,“ - აღნიშნა ილია II-მ.

პარაკლისის ბოლოს პატრიარქმა ახალი ინიციატივის შესახებ განაცხადა. მისი თქმით, 23 მაისს, წმინდა მოციქულ სვიმონ კანანელის ხსენების დღეს, „აფხაზეთობას“ აღნიშნავენ.

სამებაში გამართულ აფხაზეთის ომის დროს დაღუპულთა სულების მოსახსენებელ პანაშვიდს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი დავით დარახველიძე დაესწრო. მისი განცხადებით, „ქართველი და აფხაზი ხალხი ერთად ცხოვრებისთვის ვართ განწირულნი.“ დარახველიძის განმარტებით, ხატი, რომელიც პატრიარქის კურთხევით დაიწერა, ქართველი და აფხაზი ხალხის შერიგებას ეძღვნება.

„დღევანდელი დღე ტკივილის, მწუხარების და ამასთანავე, იმედის დღეა, რადგან ეს ხატი, რომელიც უწმინდესის კურთხევით დაიწერა, ქართველი და აფხაზი ხალხის შერიგებას ეძღვნება. ვფიქრობ, საკმაოდ დიდი დროა გასული იმისთვის, რომ ორივე მხარე მიხვდეს, რა შეცდომები დავუშვით და რა პრობლემის წინაშე დავდექით. ჩვენ, ორივე ეთნოსი, ქართველი და აფხაზი ხალხი ერთად ცხოვრებისთვის ვართ განწირულნი, სხვა შემთხვევაში, პრობლემები აფხაზებსაც და ქართველებსაც ექნებათ, ამიტომ ვფიქრობ, ერთმანეთს ურთიერთთანადგომა და სიყვარული უნდა გავუგზავნოთ, - განაცხადა დავით დარახველიძემ.

სოხუმის დაცემის დღეს აფხაზეთის მოსახლეობისთვის მიმართვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და უმაღლესმა საბჭომაც გაავრცელეს.

„1993 წლიდან ყოველი 27 სექტემბერი განსაკუთრებით მძიმე და ტკივილიანია სრულიად საქართველოსა და განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილი ჩვენი თანამემამულეებისთვის.

ჯვართამაღლების ბრწყინვალე დღესასწაული იძულებით გადაადგილებულთა საერთო სატკივარის - აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გარშემო მიმდინარე პროცესების გაანალიზების და ამ მიმართულებით სამთავრობო სტრუქტურების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის მიერ გადადგმული ნაბიჯების შეჯერების სიმბოლური თარიღი გახდა. 20 წლის განმავლობაში აფხაზეთის პრობლემის გარშემო მიმდინარე ყოვლად უშედეგო პროცესების და რუსეთის იმპერიის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ფონზე ძნელია, ანუგეშო აფხაზეთის მკვიდრნი, განსაკუთრებით შვილდაღუპულთა ოჯახები. დრო ვერ აფერმკრთალებს სამშობლოს წინაშე ჩვენი საერთო ვალდებულებების უზენაესობას, ვერ ამსუბუქებს თავისავე ქვეყანაში იძულებით ადგილნაცვალ ადამიანთა გაუსაძლის სულიერ და ფიზიკურ ყოფას.

მაგრამ, მარტო სინანულით საქმეს ვერ ვუშველით. დღეს რითიც შეიძლება ვიამაყოთ, ეს არის ჩვენი თანამემამულეების სამოქალაქო გმირობა, რომელიც გამოიხატა მათ ჭირთათმენაში, სულიერ და ფიზიკურ სიძლიერეში, ფსიქოლოგიურ წონასწორობასა და პოლიტიკურ კულტურაში. მიუხედავად გაუსაძლისი ყოფითი პირობებისა და სოციალური მდგომარეობისა, აფხაზეთის დევნილმა საზოგადოებამ აღზარდა ახალი განათლებული თაობა, რომელიც საკუთარ სიტყვას ამბობს ეკონომიკაში, მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, კულტურასა და სპორტში, სახელისუფლებო სტრუქტურებში წარმატებული მოღვაწეობით,“ - ნათქვამია მიმართვაში.

ამასთან, აფხაზეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ დადგება დრო, როდესაც აფხაზი და ქართველი ხალხი საერთო მტერს ამხელს.

„ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგება, აფხაზი და ქართველი ხალხი კვლავ ერთად იცხოვრებს მშვიდობისა და ურთიერთგაგების გარემოცვაში. დადგება ჟამი შეცდომების აღიარებისა, ურთიერთმიტევებისა და მონანიებისა, ჩვენი საერთო მტრის მხილებისა და დაგმობისა.

ჩვენი სანუკვარი მიზანი ერთია: გავერთიანდეთ აფხაზეთის დაბრუნებისა და აფხაზეთში დაბრუნებისთვის გაერთიანებული და გაბრწყინებული საქართველოსთვის,“ - ნათქვამია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს ერთობლივ განცხადებაში.

გარდა ამისა, სოხუმის დაცემის 20 წლისთავზე მეცნიერებათა აკადემიაში აფხაზეთის უახლესი ისტორიისა და კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა

კონფერენციას აფხაზეთის ომის მონაწილეები, მეცნიერებათა აკადემიისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე, აფხაზეთის უზენაესი საჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა ესწრებოდნენ.

„ჩვენთვის მძიმე დღეა, გვინდა, ის გატეხილი ხიდი აღვადგინოთ, რომელიც ჩვენ და იქ დარჩენილ მოძმეებს შორის არსებობს. დღევანდელ შეხვედრაზე ვისაუბრებთ იმ საკითხებზე, თუ რა მოხდა, რატომ ვერ შევძელით პროვოკაციის გაჩერება. ვფიქრობ, იქ უკვე ჯანსაღ ადამიანებში საღი აზრი ჩნდება, რომ ყველაფერი თავს მოგვახვიეს და ორივე მხარე პროვოკაციას წამოვეგეთ,“ - განაცხადა გია გვაზავამ.

P.S. გუშინ, ღამით, თბილისის მეტროსადგურების კედლებზე უცნობ პირთა ჯგუფმა, ქაღალდზე ამობეჭდილი, აფხაზეთში დაღუპულ ჯარისკაცთა სურათები გააკრა.

დემირელის კოლეჯი

აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას I-XII კლასებში და ხსნის

I კლასისთვის მოსამზადებელ ჯგუფს 4-5 წლის ბავშვებისათვის.

ტრადიციულად, დემირელის კურსდამთავრებულებმა წელსაც ისახელეს თავი და ჩაირიცხნენ აშშ-ს, თურქეთის და საქართველოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ათმა მოსწავლემ მოიპოვა 100% -იანი გრანტი, ოთხმა მოსწავლემ 70%-იანი გრანტი, შვიდმა მოსწავლემ 50%-იანი გრანტი.

მისამართი: ორთაჭალა გრიშაშვილის N 51
ტ: 2 75 24 58

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ზურაბ აბაშიძეს კვიპროსი გაახსენეს

პირველი გვერდიდან

პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოტივებზე საუბრობს: **„სოჭის ოლიმპიადაში ჩვენი მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მარტივი არ იყო. ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რაც სწორია. ჩვენი მონაწილეობა უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება და ამცირებს რისკს, რომ თუ რაღაც უბედურება მოხდება, საქართველოს დააბრალონ, როგორც ადრე. ადრე ჩრდილო კავკასიაში რამე თუ მოხდებოდა, ხელს მაშინვე საქართველოსკენ იშვერდნენ,“** - ამბობს აბაშიძე.

ზურაბ აბაშიძე არ გამორიცხავს, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საქართველოსთვის ყაზახეთის, რუსეთის და ბელარუსის ბაზრებზე ვითარება გართულდეს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა ზურაბ აბაშიძეს მიმართა, რომ მან 5 ივნისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან შეხვედრის შემდეგ, 11 ივნისს დაბადების დღე კვიპროსზე, ლიმასოლში, ევგენი პრიმაკოვის აგარაკზე, პრიმაკოვისა და სხვა რუსი მაღალჩინოსნების გარემოცვაში აღნიშნა.

აბაშიძემ კვიპროსში ყოფნას ადასტურებს, თუმცა ევგენი პრიმაკოვთან შეხვედრას უარყოფს. **„11-ში არა, მაგრამ მოგვიანებით ლიმასოლში გახლდით. იქ ჩემი ბავშვობის მეგობარს, ძალიან ცნობილ კარდიოლოგს დავით იოსელიანს აქვს ბინა. დაგვპატიჟა მეუღლესთან ერთად და ეს ამბავი ვიზეიმეთ. ნამდვილად, იქვე ახლოს აქვს ბინა პრიმაკოვს. მე მას კარგად ვიცნობ, დიდი ხნის ურთიერთობა მაქვს და კარგად ვიცნობ არა მხოლოდ ბატონ პრიმაკოვს, არამედ უამრავ ხალხს მოსკოვში. თუმცა, სხვა მაღალჩინოსნები წვეულებას არ ესწრებოდნენ. ჩემი პირადი მგზავრობისთვის ერთი ლარი არ ამიღია ბიუჯეტიდან. მეტსაც გეტყვით, ხვალ დავით იოსელიანს 70 წელი უსრულდება, პურ-მარილი აქვს მოსკოვში, ამ კაცს 50 წელია, ვიცნობ, ჩემზე გადაყოლილია, ჩემი მკურნალი ექიმია და იმის გამო, რომ ასეთი კითხვა არ დამისვან, მოსკოვში ერთი დღითაც კი ვერ მივდივარ. ცოლი გავუშვი, როგორც ოჯახის წარმომადგენელი. ხალხო, ერთმანეთის მიმართ მეტი ნდობა უნდა გვქონდეს! ჩემი თხოვნაა, რომ მეტი ნდობა იყოს!“** - თქვა ზურაბ აბაშიძემ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრები რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრით იმედგაცრუებულები არიან. უმცირესობის წევრ აკაკი მინაშვილის თქმით, დეპუტატებს აბაშიძისაგან არც ერთ შეკითხვაზე პასუხი არ მიუღიათ. როგორც მინაშვილი ამბობს, ქვეყნის ხელისუფლება საქართველოს ინტერესების დაცვას არ აპირებს.

„აბაშიძე რუსეთთან კულტურული ურთიერთობისა და ვაჭრობის აღდგენაზე საუბრობს. რუსეთი ამას დასავლეთთან სალაპარაკოდ იყენებს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგი მიმდინარეობს და დასავლეთის ჩარევა საჭირო არ არის. ჩემთვის გაუგებარია, რას ემსახურება ეს დიალოგი, როდესაც აქ საუბარი არ არის დევნილთა დაბრუნებაზე, დეოკუპაციაზე და აბაშიძე აცხადებს, რომ ეს საკითხები მოლაპარაკებების ფორმატში არ შედის,“ - ამბობს მინაშვილი.

უმცირესობის კრიტიკის მიუხედავად, აბაშიძე პარლამენტში გამართულ შეხვედრას დადებითად აფასებს. მისი თქმით, აუცილებელია, პარლამენტი ისეთი სერიოზული საკითხის საქმის კურსში იყოს, როგორიც საქართველო-რუსეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებია. **„აქ პირველად არ ჩამოვსულვარ. ეს უკვე მესამე შემთხვევაა. მზად ვარ, ყოველთვის ჩამოვიდე. დეპუტატებთან თხოვნა მექნება, რომ თუ მათ აქვთ წინადადება, რომელიც შეიძლება, რუსეთის წარმომადგენელთან განვიხილო, მადლობელი ვიქნები,“** - ამბობს აბაშიძე.

საკუთარი ინფორმაცია

ჯერ - „Выездные визы“, შემდეგ - ინტერნეტის აკრძალვა?!

პირველი გვერდიდან

როგორც იმერლიშვილი ამბობს, ეს საკითხი კონსტიტუციის 22-ე მუხლის მესამე პუნქტით რეგულირდება. საკანონმდებლო ცვლილების მიღების შემთხვევაში კი, ის კონსტიტუციის ფარგლებში იმოქმედებს. **ასე რომ, ეს აჟიოტაჟი ნამდვილად ზედმეტია. არანაირი ახალი ნორმა, ახალი შეზღუდვა, ახალი რეგულაცია არ უწესდებათ მოქალაქეებს, გარდა იმისა, რაც ისედაც იყო საქართველოს კონსტიტუციაში. ეს კანონპროექტი არ არის დაჩქარებული წესით განსახილველი. ეს ზუსტად კონსტიტუციური ნორმაა გადმოტანილი და შესაძლოა, საზოგადოებრივი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ადამიანის საზღვარზე გადასვლა შეჩერდეს,“** - ამბობს იმერლიშვილი.

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლში ნათქვამია, რომ ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება აქვს. მეორე პუნქტის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია, თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. მესამე პუნქტი კი მიუთითებს, რომ ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

„24 საათი“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, ინტერნეტგაზეთ IVERIA.BIZ-ის დამფუძნებელ ნიკოლოზ ვაშაკიძეს ესაუბრა. მისი შეფასებით, პროექტი გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს და მას არანაირი ახსნა არა აქვს. **„გამოდის, რომ საკანონმდებლო დონეზე ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ვარღვევთ. ეს რა შედეგებს გამოიწვევს, ბევრი ანალიზი არ სჭირდება,** - აღნიშნავს ვაშაკიძე და განაგრძობს, - **როდესაც ადამიანს ბრალი წაყენებული არა აქვს, მაგრამ ვიღაც ჩინოვნიკი გაუგებარი კრიტერიუმებით წყვეტს, თუ რას ემსახურება ქვეყნიდან მისი გასვლა, ეს ანტიდემოკრატიული ნაბიჯია. დარწმუნებული ვარ, ეს კანონპროექტი საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს ეწინააღმდეგება. რა უფლება აქვს ვინმეს, განსაზღვროს, რომ ეს ადამიანი სახელმწიფოს უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის, თუ ეს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურებით არ არის გამაგრებული.“**

ნიკოლოზ ვაშაკიძე პარალელს საბჭოთა კავშირის პრაქტიკასთან ავლებს და აღნიშნავს, რომ ასეთი ველური სახით შეზღუდვა საბჭოთა კანონმდებლობაშიც კი არ იყო დაფიქსირებული: **„საბჭოთა კავშირში გადაადგილების შეზღუდვის კუთხით ასეთი პრაქტიკა იყო, მაგრამ მათ ჭკუა ჰყოფნიდათ და ნორმები ასეთი სამარცხვინო სახით იურიდიულ ენაზე არ გადაჰქონდათ.**

ვაშაკიძე ყურადღებას იმ მიზნებზეც ამახვილებს, რაც, მისი აზრით, საკანონმდებლო ცვლილების ინიცირებას შეიძლება, რეალურად ჰქონდეს.

„დღევანდელ ხელისუფლებაში ზოგიერთს ჰგონია, რომ იმიჯის პრობლემები ზოგიერთი იმ ადამიანის ბრალია, რომელიც ქვეყნიდან გადის და ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს ხვდება. ეს, რა თქმა უნდა, აბსოლუტური სისულელეა. ხელისუფლებას იმიჯს ვერანაირი საუბრები ვერ შეულახავს, თუ ის თავის ქმედებებში გამართულია. დიდი ხანია, მუსირებს თემა, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მოქმედ ხელისუფლებას უცხოეთში სახელს უტეხენ. არ გამოვრიცხავ, რომ ცვლილება მათი გადაადგილების შესაზღუდად კეთდება. ასევე შესაძლებელია, ამ კანონპროექტის უკან უფრო შორსმიმავალი გეგმები იდგეს. კარგად გვესმის, რომ ეს, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში შიშსა და ტერორს დათესს. ვიცით, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში იურისპრუდენციაში გარკვეული ადამიანები არიან და ისინი ასეთ სისულელეს არ დაუშვებენ,“ - მიიჩნევს ნიკოლოზ ვაშაკიძე.

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს კანონპროექტის შესახებ საუბრისას საბჭოთა კავშირის გამოცდილება ახსენდება. **„თავიდანვე სერიოზული სამართლებრივი ანალიზისთვის ვიყავი განწყობილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც კანონპროექტს გავეცანი, კონსტიტუციის 22-ე მუხლს ჩავხედე და ივანიშვილის პარლამენტის დეპუტატების კომენტარებს მოვუსმინე, ყოველგვარი სურვილი გამიქრა, რომ ამ ე.წ. საკანონმდებლო ინიციატივაზე სერიოზულად მელაპარაკა. ქალბატონ და ბატონ დეპუტატებთან რჩევა მაქვს: თავს ნუ იწვალებენ, ველოსიპედს ნუ იგონებენ, რომელიც უკვე გამოგონილია, საბჭოთა კავშირის პრაქტიკას მიმართონ, შემოიღონ „Выездные визы,»** რომელსაც სუკი ყველა საბჭოთა მოქალაქის პასპორტში არტყამდა. ამით თავის ყველა პრობლემას ძალიან მარტივად გადაწყვეტენ. ამის შემდეგ, ბუსუსიან პრეზერვატივებთან ერთად, აუცილებლად აკრძალონ ინტერნეტი,“ - ამბობს გრიგოლ ვაშაძე.

შეხვედრები აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლის შემდეგ, სიტყვით მიმართა 2013 წლის კონკორდიას სამიტის გახსნის აღსანიშნავად მოწყობილ მიღებაზე შეკრებილ საზოგადოებას.

„მინდა, მივესალმო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, როგორც კონკორდიას მეგობარს და პარტნიორს. ის წარმოადგენს თავისუფლებას მსოფლიოში. ის საკუთარი ქვეყნის არაჩვეულებრივი ადვოკატია. ვინც გუშინ გაერო-ში მისი სიტყვა მოისმინეთ, გეცოდინებათ, პრეზიდენტი სააკაშვილი თავისუფლების დამცველია და, რაც მთავარია, ის არის სიტყვის კაცი. საქართველოს ხელისუფლებამ, აშშ-ს ძლიერმა მოკავშირემ, ქვეყანა ააყვავა და ქართველი ხალხიც უკეთესად არის. საქართველო არშემდგარი სახელმწიფოდან ათ წელიწადში დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნად იქცა. პრეზიდენტი სააკაშვილი ყველაზე პირველი იყო, ვინც ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერა დაიწყო,“ - ასე წარადგინეს მიხეილ სააკაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტმა კი სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მრავალი გამოწვევისა მიუხედავად, ქვეყანამ განვითარება შეძლო.

„განვითარებადმა ქვეყანამ ათეულში შესვლა პირველად შეძლო. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიოს ნომერ პირველი რეფორმატორი გავხდით. ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი საბაჟო პროცედურები, ასევე ბიზნესის რეგისტრაციის, ქონების გადაფორმების და ID ბარათების აღების ყველაზე სწრაფი პროცედურები. ეს არის ქვეყანა, რომელმაც ენერგოემბარგოს გაუძლო. 2008 წელს ოკუპაციის სამიზნე გავხდით, როდესაც რუსეთი 100 000-იანი არმიით შემოიჭრა, ამავე რაოდენობის ჯარით შევიდნენ ისინი 70-იან წლებში ავღანეთში. საქართველომ ამ ყველაფერს გაუძლო. ჩვენ გადავურჩით ემბარგოს, განვვითარდით, გავიზარდეთ და უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გავხდით,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის თქმით, საქართველომ სტაბილურობას მიაღწია და ევროპაში ყველაზე ნაკლებად კრიმინალური ქვეყანა გახდა, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გარკვეული სირთულეები წარმოიქმნა.

„ჩვენ იმდენად ძლიერი ინსტიტუტები შევქმენით, რომ როდესაც ახალი მთავრობა მათთვის ძირის გამოთხრის მკაფიო პროგრამით მოვიდა, მაინც ვერაფერი მოუხერხა. ხალხმა გაიგო კორუფციის გარეშე ცხოვრების გემო. როდესაც ამის გემოს გაიგებ, სხვა მთავრობას უკვე სასწაულს მოსთხოვ. არავინ შეეგუება წარსულში დაბრუნებას. პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენ შევქმენით რაღაც, სადაც შეიძლება, გვქონდეს დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, ქმნიდე ნორმალურ საზოგადოებას. ეს განხორციელებადი მიზანია,“ - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენს შეხვდა. მასთან მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფლებში - დვანსა და დიცში მავთულხლართების აღმართვის ფაქტზე ისაუბრა.

საქართველოს პრეზიდენტი ასევე ალბანეთის პრემიერ-მინისტრ ედი რამას შეხვდა. მხარეებმა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხები და საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში პარტნიორობის მიმართულებები განიხილეს. თავის მხრივ, ალბანეთის პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში განხორციელებულ რეფორმებზე. ედი რამას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი ალბანეთის ახალგაზრდა თაობის პოლიტიკოსებისთვის გმირია, რომელმაც დაამტკიცა, რომ შეუძლებელი არაფერია.

ჩვენი მეგობარი საქართველოს პრეზიდენტი ალბანეთის ახალგაზრდა თაობის პოლიტიკოსებისთვის გმირია. ძალიან დიდია მისი ღვაწლი ქვეყნის წინაშე. ჩვენ კი დაგვიმტკიცა, რომ შეუძლებელი არაფერია, თუკი ადამიანს აქვს მტკიცე ხედვა და უნარი, მიჰყვეს მას. ამავე დროს, ჩვენ გაგვიმართლა, რადგან მისი გამოცდილებიდან ბევრს ვსწავლობთ და შეგვიძლია, ერთმანეთს საკუთარი იდეები გავაცნოთ. დაბოლოს, მოხარული ვარ, რომ შემიძლია, მას გავუზიარო ჩემი შეხედულებები, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ მარტივ პოპულიზმსა და მარტივ რიტორიკას სამყაროს შეცვლის თემაზე, რაც, საბოლოოდ, შეიძლება, კოშმარად იქცეს,“ - განაცხადა ალბანეთის პრემიერმა.

გარდა ამისა, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან, ბილ და ჰილარი კლინტონებთან და ნიუ-იორკის მერ მაიკლ ბლუმბერგთან ერთად, კლინტონის გლობალური ინიციატივის ფარგლებში გამართულ საზეიმო ვახშამს დაესწრო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებს მართავს ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე.

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ქეთრინ ეშტონი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ექვსივე ქვეყნის მინისტრებს შეხვდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიის პარალელურად გაიმართა და საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ხელმძღვანელობდა.

ევროკავშირის მხრიდან შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის დარგში შტეფან ფულე, ევროპული საგარეო ქმედებათა სამსახურის გენერალური მდივნის მოადგილე ჰელგა შმიდი და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკიავიჩიუსი.

შეხვედრაზე განიხილეს ყველა პარტნიორი ქვეყნის მიერ დასახული მიზნები და მოლოდინები ვილნიუსის სამიტის კონტექსტში.

ქეთრინ ეშტონმა, შტეფან ფულემ და ლინას ლინკიავიჩიუსმა აღნიშნეს, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს სამიტზე უკრაინასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, ხოლო საქართველოსა და მოლდოვასთან - ამ შეთანხმების პარაფირებას.

ასევე, შტეფან ფულემ განაცხადა, რომ ევროკომისია მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რათა საქართველოსა და მოლდოვასთან ასოცირების შესახებ შეთანხმებებს ამჟამინდელი ევროკომისიის მანდატის ამოწურვამდე მოეწეროს ხელი.

„შეხვედრაზე კიდევ ერთხელ შევაჯამეთ მიღწეული შედეგები ვილნიუსის სამიტის წინ. ძალზედ მკაფიო განცხადებები გაკეთდა იმის შესახებ, რომ უკრაინა ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს, ხოლო მოლდოვა და საქართველო ხელშეკრულების პარაფირებას მოახდენენ, ევროკომისიის ვადის ამოწურვამდე ხელი მოეწერება მოლდოვასა და საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულებას. ეს ფაქტი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ ყველაფრის უკან უდიდესი შრომა დგას,“ - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ამბოხებულებმა მალიში მთავრობასთან მოლაპარაკებებზე უარი თქვეს

ტუარეგებმა და ისლამისტებმა, რომლებიც მალის ჩრდილოეთ ტერიტორიას ნაწილობრივ აკონტროლებენ, განაცხადეს, რომ ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებთან მათ მიერ დაკავებული მიწის სტატუსის შესახებ მოლაპარკებებს წყვეტენ. განცხადებაში ამბოხებულებმა აღნიშნეს, რომ არ აპირებენ დიალოგის გამართვას მთავრობასთან, ვინაიდან ამ უკანასკნელებმა ადრე დადებული პირობები არ შეასრულეს. თუმცა, კონკრეტულად რა პირობების შეუსრულებლობაზე საუბარი, უცნობია.

ტუარაგებსა და ქვეყნის მთავრობას შორის კონფლიქტი რამდენიმე წელია, მიმდინარეობს, თუმცა დაპირისპირებამ განსაკუთრებით 2012 წელს იმძლავრა. 2013 წელს ამბოხებულების წინააღმდეგ ბრძოლაში სამთავრობო ჯარებს ფრანგი ჯარისკაცები დაეხმარნენ. 2013 წლის ივნისში ხელისუფლებამ და ამბოხებულებმა რამდენიმე წარმატებული მოლაპარაკება გამართეს, რის შედეგადაც ტუარეგებმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე უარი თქვეს.

თურქეთის პრემიერის დაცვას ცეცხლი გაუხსნეს

გაზეთ „ზამანის“ ინფორმაციით, თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეფ ტაიპ ერდოღანის დაცვას უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. ამ დროს პრემიერი საბიჰ გექჩანის აეროპორტიდან შინ ბრუნდებოდა. პრემიერის დაცვას ცეცხლი მუსტაფა ქემალის ხიდის რაიონში გაუხსნეს. წინასწარი ინფორმაციით, შვიდჯერ გაისროლეს. მომხდარის ადგილზე პოლიცია მივიდა. ამ დროისთვის მიმდინარეობს გამოძიება.

მუმბაიში ხუთსართულიანი შენობა ჩამოინგრა

გუშინ, დილით, მუმბაიში ხუთსართულიანი შენობა ჩამოინგრა. უკვე ამოასვენეს 6 ადამიანის ცხედარი. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, ჯერ არ არის დაზუსტებული, სულ რამდენი ადამიანი მოყვა ნანგრევებში. „სი-ენ-ენ“-ის ინფორმაციით, ამ დროისთვის მაშველებმა რვა ადამიანის გადარჩენა შეძლეს.

„ედინაია როსიას“ საბავშვო ბაღებიდან მიგრანტების გარიცხვა სურს

„რამბლერ.რუ“-ს ინფორმაციით, „ედინაია როსიას“ დეპუტატმა სახელმწიფო სათათბიროში, პარტია „როდინას“ ხელმძღვანელმა, სახელმწიფო სათათბირო თავდაცვის კომიტეტის წევრმა ალექსეი ჟურავლიოვმა კანონპროექტი მოამზადა, რომლის თანახმადაც, რუსული სკოლები და ბაღები დაიხურება იმ მიგრანტების ბავშვებისთვის, რომლებიც ვერ დაასაბუთებენ, რომ რუსეთში გადასახადებს კანონის შესაბამისად იხდიან.

კენიისა და სომალის საზღვარზე ისლამისტები ორ ქალაქს დაესხნენ თავს

ისლამისტური დაჯგუფების „აშ-შაბაბის“ შეიარაღებული მებრძოლები სომალის საზღვართან მდებარე კენიის ორ ქალაქს დაესხნენ თავს. თავდასხმის შედეგად სამი ადამიანია მოკული, მათ შორის პოლიციის ორი ოფიცერი. დაშავდა შვიდი ადამიანი. შეიარაღებულმა მებრძოლებმა რამდენიმე მანქანა ააფეთქეს. „ალ-შაბაბმა“ ამის შემდეგ განცხადება გაავრცელა, სადაც საუბარია, რომ თავდასხმები მანამ გაგრძელდება, სანამ კენიელი ჯარისკაცები სომალის არ დატოვებენ. „ამავე მიზეზით“ წინა შაბათს დაჯგუფების შეიარაღებული მებრძოლები კენიის დედაქალაქში სავაჭრო ცენტრს დაესხნენ თავს, რასაც 67 ადამიანი ემსხვერპლა. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ კენიის პოლიციამ სავაჭრო ცენტრის ტერორისტებისგან გასათავისუფლებად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. „აშ-შაბაბმა“ მანამდე კენიის უსაფრთხოების ძალები „ქიმიური იარაღის“ გამოყენებაში დაადანაშაულა. ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ „აშ-შაბაბის“ შეიარაღებული მებრძოლები მძევლებს სასტიკად აწამებდნენ.

მოამზადა თამთა კახაძემ

გაეროში სირიის რეზოლუციის ტექსტი შეათანხმეს

ივა შილაკაძე
თამთა კახაძე

რუსეთმა, ამერიკამ და გაეროს უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივმა წევრებმა სირიის ქიმიური იარაღის განადგურების შესახებ რეზოლუციის პროექტი შეათანხმეს. პროექტი გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე უკვე განიხილეს და პარასკევს, გვიან საღამოს (ჩვენი დროით, უკვე შაბათს), ის შეიძლება, კენჭისყრაზეც დაეყენებინათ. რუსეთმა და ამერიკამ შეათანხმეს აგრეთვე ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის გადაწყვეტილების ტექსტი, რომელიც უშუალოდ სირიის ქიმიური არსენალის განადგურებას ეხება. ეს გეგმა კენჭისყრის საფუძველზე ჯერ სწორედ ამ ორგანიზაციას უნდა დაემტკიცებინა თავის შტაბბინაში ჰააგაში. შემდეგ ეს ტექსტი გაეროს უშიშროების რეზოლუციაში შევა, რომელიც სირიის ქიმიური იარაღის განადგურებას უფრო ფართოდ ეხება.

რეზოლუციის ტექსტს მხარეები ორი კვირის განმავლობაში ათანხმებდნენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, პროექტი, მასში მოცემული პირობების დარღვევის შემთხვევაში, ძალის გამოყენებას არ გულისხმობს. პროექტში სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება დაგმობილია, თუმცა მასზე პასუხისმგებლობა კონფლიქტის არც ერთ მხარეს არ ეკისრება. თუ ასადი ქიმიური იარაღის განადგურების პირობას დაარღვევს, ეს საკითხი განსახილველად ისევ დადგება უშიშროების საბჭოზე და ამ შემთხვევაში მიღებენ გადაწყვეტილებას გაეროს წესდების მეშვიდე თავის საფუძველზე, რომელიც ძალის გამოყენებას ითვალისწინებს. გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ დოკუმენტი პრინციპში შეთანხმებულია და ის ტექნიკურ დამუშავებას კიდევ საჭიროებს.

სხვადასხვა გათვლებით სირიის ქიმიური იარაღის არსენალის განადგურება ცხრა თვეშია შესაძლებელი. „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, ამ დასკვნამდე ამერიკელი და რუსი ექსპერტები მივიდნენ. როგორც ცნობილია, სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა ადრე განაცხადა, რომ ქიმიური იარაღის განადგურებს სულ მცირე ერთი წელიწადი დასჭირდება. რეზოლუციაში ამის შესახებ რა წერია, გუშინ ჯერ არ იყო ცნობილი.

წინასწარი შეთანხმებით ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ექსპერტები 1 ოქტომბერს სამშაბათს დაიწყებენ სირიის ქიმიური არსებნალის შემოწმებას. სავარაუდოდ მათ ექნებათ საშუალება სხვა ადგილებიც მოინახულონ და არა მხოლოდ ის ობიექტები, რომლის სიაც მათ ოფიციალურმა დამასკომ გადასცა.

სირიის ქიმიური იარაღის არსენალი ექსპერტების შეფასებით მოიცავს დაახლოებით 1000 ტონა ნივთიერებებს. მის განადგურებაში მონაწილეობისა და ობიექტების პერიმეტრის დასაცავად სპეციალისტების და სამხედრო პოლიციის რაზმების გამოყოფის პირობა დადო რუსეთმა და იგივესკენ მოუწოდა უშიშროების საბჭოს წევრ სხვა სახელმწიფოებს, ასევე არაბულ ქვეყნებს და თურქეთს.

დასავლეთი ირანის ტონის შეცვლას მიესალმება

პირველი გვერდიდან

ჯონ კერიმ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ის სასიამოვნოოდ გაკვირვებული დარჩა ირანის წარმომადგენლების „ტონის შესამჩნევი ცვლილებით“, თუმცა დასძინა, რომ ირანს კიდევ მოუწევს ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ უილიამ ჰეიგის შეფასებით, შეხვედრა იყო „კარგი დასაწყისი“, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამი კვირის შემდეგ უფრო საგნობრივი და დეტალური მოლაპარაკებები შედგება. ჰეიგმაც თქვა, რომ მას იმედი ჩაუსახა დიალოგისკენ მისწრაფებამ, რაც მისი ირანელი კოლეგის მოჰამად ჯავად ზარიფის სიტყვებში შეიმჩნეოდა.

კეტრინ ეშტონმაც განაცხადა, რომ ეს იყო კარგი და საქმიანი შეხვედრა, რომელზეც შეთანხმდნენ, რომ მუშაობას გააგრძელებენ. როგორც მან დასძინა, „ექვსეული“ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს ისევ შეხვდება 15-16 ოქტომბერს ჟენევაში. კეტრინ ეშტონის სიტყვებით, მათ ურთიერთნდობის აღსადგენად ირანელ კოლეგას წინადადებების პაკეტი გადასცეს. „ირანი ან ამ წინადადებებს გაიზიარებს, ან თავის საკუთარ მოსაზრებებს წარმოგვიდგენს,“ - თქვა ეშტონმა.

ჯონ კერიმ შეხვედრის კომენტირებისას განაცხადა, რომ დიალოგი კონსტრუქციული იყო, თუმცა არ გაუცია პასუხი იმ შეკითხვებზე, რაც საერთაშორისო საზოგადოებას ირანის ბირთვული პროგრამის მიმართ აქვს. მისი სიტყვებით, ეს არც იყო მოსალოდნელი და მხარეებს წინ სერიოზული მუშაობა ელით.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამად ჯავად ზარიფმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ირანისა და საერთაშორისო შუამავლების აზრით, საბოლოო შეთანხმებას უახლოესი ერთი წლის განმავლობაში უნდა მიაღწიონ. მინისტრის თქმით, დეტალური მოლაპარაკებების პროცესი ძალიან მალე დაიწყება. მოლაპარაკებების მთავარი შედეგი, ზარიფის განცხადებით, ირანის წინააღმდეგ მოქმედი სანქციების სრული გაუქმება უნდა იყოს. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ სანქციები კონტრპროდუქტიულია და საერთაშორისო სამართალს არ შეესაბამება,“ - აღნიშნა და იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკებებში პროგრესს მალე მიაღწევენ. „ირანის ბირთვული პროგრამა მშვიდობიანი ხასიათისაა და ჩვენ ამაში ყველას დავარწმუნებთ,“ - განაცხადა ირანელმა მინისტრმა.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰამედ ჯავად ზარიფი ბირთვულ მოლაპარაკებებში ირანის მთავარი წარმომადგენლის ფუნქციებს ითავსებს, რაც აქამდე ცალკე თანამდებობა იყო და ის საიდ ჯალილს ეკავა. ზარიფი უშუალოდ პრეზიდენტ როუჰანის დაექვემდებარება, რომელიც ადრე, ხატამის პრეზიდენტობის პერიოდში, თვითონაც ასრულებდა ამ როლს.

საგარეო საქმეთა მინისტრების ხუთშაბათის შეხვედრას (ჩვენი დროით, ეს უკვე პარასკევს, ღამით იყო) წინ უძღოდა მხარეების ოპტიმისტური განცხადებები, რაც ჩვენი მკითხველისთვის, ძირითადად, ცნობილია. იმავე პრეზიდენტმა როუჰანიმ ორი დღის წინ იმედი გამოთქვა, რომ ირანის ბირთვულ პროგრამაზე შეთანხმების მიღწევა 3-6 თვეში უნდა მოხერხდეს და ეს შეიძლება, აშშ-ირანის ურთიერთობების გაუმჯობესებაში საწყისი წერტილი გახდეს. თუმცა როუჰანიმ ისიც განაცხადა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა არც ერთ შემთხვევაში არ იტყვის უარს მშვიდობიანი ბირთვული ტექნოლოგიების განვითარებაზე. მისი სიტყვებით, „ზეწოლის და ხელების გადაგრეხვის პოლიტიკას, დაშინებას და სანქციებს მხოლოდ მოლაპარაკებების ატმოსფეროს გაფუჭება და მასში ირანის მონაწილეობის სურვილის შემცირება შეუძლია.“

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა ირანის ახალი ხელმძღვანელობის მიერ არჩეულ უფრო ზომიერ კურსს მიესალმა, თუმცა დასძინა, რომ სიტყვები საქმით უნდა იყოს განმტკიცებული. ჯავად ზარიფს წინა დღეებშიც ჰქონდა შეხვედრები კეტრინ ეშტონთან და ფრანგ კოლეგა ლორან ფაბიუსთან.

წინა კვირაში ირანის ადვოკატობა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა იკისრა, რომელმაც განაცხადა, რომ ირანი მზად არის, მოლაპარაკებებზე განიხილოს ურანის 20 პროცენტამდე გამდიდრების შეწყვეტის პროცესი, თუმცა ამ მიმართულებით პროგრესისთვის საჭირო იქნება „ექვსეულის“ ადეკვატური რეაქცია. ესეც მინიშნებაა სანქციების შესუსტებასა თუ გაუქმებაზე. რუსეთს „თავისი გასჭირვებია“. სანქციები მას არ აძლევს საშუალებას, შეასრულოს ირანთან დადებული კონტრაქტები იარაღის მიწოდების სფეროში, რის გამოც შეიძლება, კომპენსაციის გადახდაც კი მოუწიოს.

გუშინვე აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „სი-ბი-ეს“-ს (CBS), სადაც განაცხადა, რომ აშშ ირანის წინააღმდეგ სანქციებს მანამდე არ გააუქმებს, სანამ ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამა გამჭვირვალე არ გახდება. კერის სიტყვებით, ამისთვის სულ ორიოდე ნაბიჯის გადადგმაა საჭირო. თავისი განწყობის სერიოზულობის დასამტკიცებლად ირანმა, კერის სიტყვებით, საერთაშორისო ინსპექტორებისთვის ფორდოში მიწისქვეშა ქარხანა უნდა გახსნას. მათ აგრეთვე შეუძლიათ, საერთაშორისო საზოგადოებასთან ახლავე მოაწერონ ხელი დამატებით ოქმს ინსპექციების შესახებ. ამას გარდა, კერის სიტყვებით, ირანს შეუძლია, საკუთარი სურვილით თქვას უარი ურანის გამდიდრებაზე „განსაზღვრული დონის ზევით“, რადგან მშვიდობიანი ბირთვული პროგრამისთვის მაღალ დონეზე გამდიდრებული ურანი საჭირო არ არის.

ჩვენ წლების განმავლობაში დაწვრილებით ვაშუქებთ ირანის ბირვული პროგრამის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებებს და მოვლენებს. შესაბამისად „24 საათის მკითხველისთვის“ ცნობილია, რომ ურანის გამდიდრების პროცესში სამი საფეხურია - 5 პროცენტამდე გამდიდრება, 20 პროცენტამდე და 20 პროცენტის ზევით. 20 პროცენტამდე გამდიდრებული ურანი მშვიდობიანი მიზნებისთვის საკმარისია, 20-ის ზევით იწყება სამხედრო პროგრამა. ბირთვული ბომბის დასამზადებლად საჭიროა 90 პროცენტამდე გამდიდრებული ურანი, მაგრამ ეს უკვე დროის საკითხია მაღალ დონეზე გამდიდრების ტექნოლოგიის შექმნის შემდეგ. ირანი აქამდე ურანს მხოლოდ 5 პროცენტამდე ამდიდრებდა, რაც მისი საჭიროიების ნაწილს ჰყოფნიდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში 20-პროცენტიან „საშიშ“ ზღვარს მიუახლოვდა. ზუსტად რა მდგომარეობაშია მისი ეს ტექნოლოგიები, უცნობია, რადგან სამხედრო ქარხნებში საერთაშორისო ინსპექტორებს, დაახლოებით, 3-4 წელია, აღარ უშვებს.

ბრიტანული ბრენდის NEW LOOK-ის ახალი მაღაზია აღმაშენებლის 116-ში გაიხსნა

თბილისში ბრიტანული ტანსაცმლის ბრენდის - New Look-ის ახალი მაღაზია გაიხსნა. ბრიტანული სტილი, უახლესი ტენდენციები და მიმზიდველი ფასები - New Look-ისთვის დამახასიათებელი მთავარი ნიშნებით, მაღაზია მომხმარებელს დღეიდან ელის.

გახსნის დღესთან დაკავშირებით, New Look-მა მყიდველებს სპეციალური 20%-იანი ფასდაკლებას შესთავაზა. მაღაზიის პირველ სტუმრები მთელი დღის განმავლობაში იღებდნენ საჩუქრებს, და იკეთებდნენ უფასო მანიკიურს სალონ „Belleecma“-სგან.

ოთხსართულიან მაღაზიაში, ერთი სართული ფეხსაცმელს, ორი სართული ტანსაცმელს და ერთიც თეთრეულსა და აქსესუარებს ეთმობა.

აღმაშენებლის N116-ში მდებარე მაღაზიის საზეიმო გახსნას, 26 სექტემბერს ჟურნალისტები, ცნობილი სახეები, მსახიობები, მომღერლები, ტელეწამყვანები და მოდის ბლოგერები დაესწრნენ.

საზეიმო ლენტი საღამოს მასპინძელმა - მსახიობმა და ტელეწამყვანმა ეკა ამირეჯიბმა გახსნა. მოწვეულმა სტუმრებმა მაღაზია დაათვალიერეს და ბრენდის მიერ დაწესებული საჩუქრების გათამაშებაშიც მიიღეს მონაწილეობა.

VIP საღამო Fashion show-მ დაასრულა. მაღაზიაში New Look-ის ახალი კოლექციის ჩვენება მოეწყო. მოდელების ვარცხნილობასა და ვიზაჟზე სალონმა „Belleecma“-მ იზრუნა.

ფოტოსახეები ლეიდენის ისტორიიდან

პირველი გვერდიდან

ერვინ ოლაფის პროექტის „ლეიდენი - ისტორიის ფურცლები“ მასპინძელი ჰოლადიურ ფონდ „არტ ექოს“ ფესტივალი „იბერია“ გახლავთ, რომელიც წელს მეოთხედ, საქართველოში კი მეორედ იმართება. უშუალოდ გამოფენა ეროვნულ გალერეაში (ე.წ. ცისფერი გალერეა) მოეწყობა, რაც არა უგვიანეს იანვრისა მოხდება. საგულისხმოა, რომ „ლეიდენი - ისტორიის ფურცლები“, რომლის შემკვეთი და მფლობელი ლეიდენის უნივერსიტეტი გახლავთ, ჰოლანდიის ტერიტორიას პირველად დატოვებს, ამრიგად მისი უცხოური გასტროლის ექსკლუზივი ჯერჯერობით ჩვენ გვეკუთვნის.

კულტურის პოპულარიზაციის ფონდ „არტ ექოს“ დამაარსებელი, „იბერიას“, შესაბამისად კი ერვინ ოლაფის გამოფენის ორგანიზატორი ჰოლანდიაში მცხოვრები დალი დე გრააფ-უბილავაა, რომელიც გამოფენასთან დაკავშირებულ საინტერესო ამბავს გვიამბობს: „ამ პროექტის შეკვეთა ერვინ ოლაფმა 2011 წელს ლეიდენის უნივერსიტეტისა და ლაკენჰალის მუზეუმისგან მიიღო. პროექტის იდეა ლეიდენის უნივერსიტეტს ეკუთვნის, რომლის დაარსებაც მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ქალაქთან. ესპანეთის იმპერიისგან განთავისუფლებისთვის წამოწყებული ოთხმოცწლიანი ომის დროს ლეიდენელები რამდენიმე თვის განმავლობაში მედგრად იცავდნენ ქალაქს და სიმამაცის მაგალითიც აჩვენეს (ქალაქი 1574 წელს გაანთავსუფლეს). მათი საქციელით აღფრთოვანებულმა მეფე ვილჰელმმა ქალაქის მაცხოვრებლებს არჩევანი შესთავაზა - ან ქალაქს გადასახადებისგან გაანთავისუფლებდა ან აქ უნივერსიტეტს დააარსებდა. ლეიდენელებმა არჩევანი უნივერსიტეტზე შეაჩერეს, მეფემ კი დანაპირები აასრულა. ამჟამად ლეიდენის უნივერსიტეტი ოქსფორდის შემდეგ ევროპაში ყველაზე ძველ და ჰოლანდიის უმნიშვნელოვანეს საგანმანათლებლო ცენტრად მიიჩნევა.“

ლეიდენის უნივერსიტეტის შეკვეთაზე მუშაობა, რომელიც სწორედ ზემოთ მოთხრობილ ისტორიას ეძღვნება, ერვინ ოლაფმა კასტინგით დაიწყო. მისი ჩანაფიქრით, ლეიდენის ისტორიის ყველაზე დრამატული ეპიზოდი სწორედ ამ ქალაქის მოსახლეობასთან ერთად უნდა გაცოცხლებულიყო. კასტინგს იმ პერიოდის ჰოლანდიური მხატვრობის შესწავლა მოჰყვა და სწორედ ამიტომაც ვხედავთ დასრულებულ პროექტში რემბრანდტისეულ ჩრდილებს, ფერებსა და სახეებს (აღსანიშნავია, რომ თავად მხატვარიც ლეიდენელი გახლდათ).

შედეგად პროექტი ცხრა ნამუშევრით შეიკრა. ზოგ მათგანზე ლეიდენელები ჰოლანდიის სამეფო ოჯახის წევრებს განასახიერებენ, ზოგგან ჯარისკაცებს თამაშობენ, შიმშილითა და ავადმყოფობით გათანგული ან პარტიზანულ ბრძოლაში ჩაბმული გლეხები არიან. ზოგადად პროექტი ძალიან ემოციურია, ის არაჩვეულებრივად ასახავს უბრალო ადამიანების სურვილს, იყვნენ თავისუფლები, ხოლო ამ ისტორიის შემდგომ განვითარებული მოვლენები ერთმნიშვნელოვნად მოწმობს, რომ ქვეყნის მმართველიც შეიძლება გულმოწყალე და დანაპირების შემსრულებელი იყოს...

რაც შეეხება ერვინ ოლაფს, მისი სახელი არა მხოლოდ ფოტოხელოვნებით დაინტერესებულთათვისაა ცნობილი. Campbell's, Levi's, Diesel, Lavazza, Hennessey, Heineken, Nokia, Microsoft - ეს იმ კომპანიების ჩამონათვალია, რომელთათვისას ერვინ ოლაფს სარეკლამო პროდუქცია მოუმზადებია. ოლაფი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ კომერციულ ფოტოგრაფად მიიჩნევა, თუმცა მის პორტფოლიოში არაკომერციული სერიები უფრო სჭარბობს. მას ძალიან უყვარს პროვოკაციული ფოტოსესიების გამართვაც, პირველი სერიოზული აღიარება კი სწორედ ამ ტიპის ფოტოების დამსახურებით მოიპოვა: 2000 წელს მის მიერ გადაღებულმა სერიამ „მოდის მსხვერპლნი“, რომელშიც სხვა და სხვა ცნობილი ბრენდის პაკეტებით სახე დაფარული შიშველი მოდელების ფოტოები შედის, საზოგადოებაში დიდი შოკი გამოიწვია. უფრო დიდი რეზონანსი მოჰყვა 2001 წლის სერიას „სამეფო სისხლი“, რომელიც არა ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილ დიდგვაროვნებს ეძღვნებოდა. სერიის ერთ-ერთი მთავარი ფოტოს გმირი კი პრინცესა დიანა გახლავთ.

ერვინ ოლაფი დღეს ფოტოგრაფიის ვარსკვლავია და სწორედ ვარსკვლავებისთვის შესაფერისი ცხოვრება აქვს, ამიტომ ჯერ არ ვიცით, შეძლებს თუ არა თბილისში თავის ნამუშევრებთან ერთად ჩამოსვლას.

დალი დე გრააფ-უბილავა: „მიუხედავად იმისა, რომ გამოფენა უკვე დაგეგმილია და მის ჩატარებას არაფერი უშლის ხელს, პირადად ერვინ ოლაფთან კონტაქტი არ მქონია, მოლაპარაკება მის წარმომადგენელთან მიმდინარეობდა. ამრიგად ჩვენ მხოლოდ იმედი შეგვიძლია გვქონდეს, რომ მის დატვირთულ გრაფიკში რამდენიმე თავისუფალი დღე გამოჩნდება და თბილისში ჩამოსვლას შეძლებს“.

დაახლოებით მსგავსი სახელის მქონე სტუმრის მასპინძლობის გამოცდილება ფესტივალ „იბერიას“ უკვე გააჩნია: ორიოდე წლის წინ ფესტივალის ფარგლებში თბილისს ცნობილი ჰოლანდიელი ანიმატორი გერიტ ვან დაიკი სტუმრობდა (პროექტი „რე ანიმაცია დასავლეთიდან“), რომელმაც არა მხოლოდ საკუთარი ნამუშევრები წარმოგვიდგინა, არამედ სტუდენტებს რამდენიმე ძალიან საინტერესო მასტერკლასიც ჩაუტარა.

ეს 2011 წელს, მეორე „იბერიაზე“ ხდებოდა. მანამდე კი ქართულ კულტურას ჰოლანდიელები გაეცნენ. 2009 წელს დაარსებული „არტ ექოს“ ჯერჯერობით ერთადერთი პროექტი პირველად სწორედ ლეიდენში განხორციელდა. ქართული კულტურა აქ ანსამბლმა „რუსთავმა“ წარმოადგინა, პარალელურად კი 50-იანელი ქართველი მხატვრების გამოფენა და ფილმების ჩვენება მიმდინარეობდა („ჯარისკაცის მამა“, „პასტორალი“, „ფიროსმანი“). საპასუხო ფესტივალი, როგორც გითხარით, თბილისში, გერიტ ვან დაიკის შემოქმედების ფონზე ჩატარდა, შარშან კი „იბერიამ“ კვლავ ჰოლანდიაში გადაინაცვლა. ამჯერად „რუსთავის“, ასევე ქართველი მხატვრებისა და ფოტოგრაფების შემოქმედება ლეიდენის გარდა კეკენჰოფში (ტიტების პლანტაციებით ცნობილი ქალაქი) და ტექსელზე გაიცნეს. „ფესტივალს ჰოლანდიაში უამრავი მხარდამჭერი ჰყავს. ლეიდენის მერია, კულტურის სამსახური, ადგილობრივი პრესა და სხვა და სხვა კომპანიები დიდ თანადგომას გვიწევენ და გვაფასებენ. სწორედ „იბერიას“ სახელის დამსახურებაა, რომ ამჟამად ლეიდენის ქუჩებში მსოფლიოს სხვა ერების პოეტურ მარგალიტებთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფიც იკითხება. ეს გახლდათ ქალაქის ათწლიანი პროექტი, რომელიც „არტ ექოს“ დაარსების დროისთვის უკვე დახურული იყო, მაგრამ ქართული კულტურით აღფრთოვანებულმა ლეიდენის მთავრობამ ჩვენთვის გამონაკლისი დაუშვა და თავად გვთხოვეს, ერთ-ერთი სახლის კედელზე რუსთაველის ტექსტიანი სტენდი აღგვემართა. ამგვარი დამოკიდებულება კი მხოლოდ ჩვენი ფესტივალის ხარისხსა და აუცილებლობაზე მეტყველებს“, - ამბობს დალი დე გრააფ-უბილავა.

როგორც გითხარით, ერვინ ოლაფის გამოფენის ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არაა. ამის და სხვა სიახლეების შესახებ უახლოეს მომავალში გაცნობებთ.

განცხადება

2013 წლის 18 ნოემბერს 14 საათზე, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებელის 50, მე-4 სართული, მოეწყობა "URS Federal Services International, Inc."-ის საქართველოს წარმომადგენლობის საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ფოთის ბაზაზე გემების ამოსაღები ესტაკადის და გემების დროებითი განთავსების მოედანის მშენებლობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს **გემების ამოსაღები ესტაკადის და გემების დროებითი განთავსების მოედანის მშენებლობა**.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე: **ქ. ფოთი, დ. აღმაშენებელის 50, მე-4 სართული**. ტელ:; 595 45-47-97; 595 65-66-78.

დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე.

საზოგადოების მოსაზრების წარდგენის ბოლო ვადა (დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე) 2013 წლის 11 ნოემბერი.

"URS Federal Services International, Inc."-ის საქართველოს წარმომადგენლობა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის სატენდერო

განცხადება

ქ. ფოთი27 სექტემბერი, 2013 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი აცხადებს ტენდერს, შავი ზღვის ვეშაპისნაირთა მონიტორინგის პროგრამის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტის დასახელება, ზოგადი მახასიათებლები, რაოდენობა და მოწოდების ვადები:

ლოტი	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მახასიათებლები	რაოდენობა	მოწოდების ვადა
1	შავი ზღვის ვეშაპისნაირთა მონიტორინგის პროგრამის შესყიდვა 1. შავი ზღვის სამივე სახეობის დელფინის (*Tursiops truncatus, Delphinus delphis, Phocoena phocoena*) რიცხოვნობის შეფასება კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვაო აკვატორიაში სეზონების მიხედვით, მათ შორის: • ჯგუფების ამოცნობა • რეზიდენტული და დროებითი ჯგუფების განსაზღვრა • მინიმალური რიცხოვნობის განსაზღვრა 2. შეხვედრის სიხშირის (Sigthing frequency) დადგენა 3. დელფინების საკვები ტერიტორიების გამოყოფა 4. დელფინებზე მოქმედი ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების გამოვლენა 5. რეკომენდაციების შემუშავება გამორიყვების მონიტორინგის ქსელის შექმნისთვის 6. განრიდების დისტანციის კორელაციის დადგენა სხვადასხვა ფაქტორებთან 7. კოლხეთის ეროვნული პარკის შავი ზღვის აკვატორიაში დელფინებზე თვალთვალის (dolphin watching) განვითარების პერსპექტივის შეფასება		ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე. (ეტაპობრივად)

მიწოდების ადგილი: საქართველო, ქ. ფოთი.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირებისათვის, სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა იწარმოებს2013 წლის 30 სექტემბრიდან - 2013 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით, დილის 10:00 საათიდან საღამოს 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი, გურიის ქ. №222, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა.

3. სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2013 წლის 16 ოქტომბერი 14:00 საათი. სატენდერო წინადადებები გაიხსნება სატენდერო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულებისთანავე.

4. დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ შეუძლიათ მიიღონ: ქ.ფოთი, გურიის ქ.#222-ში. საკონტაქტო პირი: დავით კვიციანი, ტელ: 577 923434, ელ.ფოსტა: dato.kviciani@mail.ru

---

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის სატენდერო
განცხადება

ქ. ფოთი 27 სექტემბერი, 2013 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი აცხადებს ტენდერს, ჰიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგის პროგრამის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტის დასახელება, ზოგადი მახასიათებლები, რაოდენობა და მოწოდების ვადები:

ლოტი	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მახასიათებლები	რაოდენობა	მოწოდების ვადა
1	მეტეო სადგური (ჰაერის ტემპერატურა და სინოტივე, ატმ. ნალექები, ქარის სიჩქარე და მიმართულება)	1	ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 31 აგვისტომდე
	ჰიდროლოგიური სადგური	2	
	ჭაობის წყლის დონის მზომი	2	
	ტბის წყლის დონის მზომი	1	
	პიეზომეტრი	2	
	ლიზიმეტრი	2	
	რადიო მოდემი	4	
	სერვერი	1	
	უწყვეტი კვების წყარო 1500VA	1	
	მონიტორი 24"	3	
	პროგრამული უზრუნველყოფა	1	
	საველე დაკვირვების აპარატურის და სერვერის ინსტალაცია	10	
	პერსონალის ტრეინინგი	1	

5.

მიწოდების ადგილი: საქართველო, ქ. ფოთი.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირებისათვის, სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა იწარმოებს 2013 წლის 30 სექტემბრიდან - 2013 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით, დილის 10:00 საათიდან საღამოს 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი, გურიის ქ. №222, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა.

3. სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2013 წლის 16 ოქტომბერი, 12:00 საათი. სატენდერო წინადადებები გაიხსნება სატენდერო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულებისთანავე.

4. დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ შეუძლიათ მიიღონ: ქ.ფოთი, გურიის ქ.#222-ში. საკონტაქტო პირი: მაია ნასარაია, ტელ: 577 55 75 12, ელ.ფოსტა: KNP.fondi@gmail.com

საქართველო ჭაბუკ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იბრძვის

საქართველოს ხელბურთის ფედერაციას 2017 წლის ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში ჩატარება სურს. ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია მასპინძლის ვინაობას 2013 წლის 27 ოქტომბერს, დოჰაში (ყატარი), 34-ე კონგრესზე გაარკვევს. განაცხადი ორ ქვეყანას აქვს წარდგენილი - საქართველოსა და ხორვატიას.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის განაცხადში 24-გუნდიანი ტურნირის მასპინლობისთვის ოთხი ქალაქია შერჩეული - თბილისი, თელავი, ქუთაისი და ბათუმი.

ამ რანგის ტურნირი დამოუკიდებელ საქართველოში სპორტის არც ერთ სახეობაში არ გამართულა. ტურნირში ითამაშებენ 1998-99 წლებში დაბადებული ჭაბუკები. ამ ასაკის ხელბურთელები თბილისის 2015 წლის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზეც იასპარეზებენ. ქართველ ხელბურთელებს უკვე დაწყებული აქვთ ინტენსიური მზადება ამ ტურნირისთვის წინასწარ დასახული პროგრამით.

ცხრამეტწლამდელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი 2005 წლიდან იმართება ორ წელიწადში ერთხელ. აქამდე ტურნირები ჩატარდა ყატარში, ბაჰრეინში, ტუნისში, არგენტინასა და უნგრეთში. მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ: სერბეთი/მონტენეგრო (2005), დანია (2007, 11, 13), ხორვატია (2009).

ხელბურთის ფედერაციის პრესსამსახური

„რედინგი" ადასტურებს, რომ დვალი შეიძინა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რიგის „სკონტოს" დირექტორის, ასკოლდს ულდრიკსის თქმით, რიგელებს ქართველის სანაცვლოდ დიდი თანხა არ მიუღიათ.

„დიდ თანხაზე არ არის ლაპარაკი", - Sportacentrs.com-თან საუბარში აცხადებს ულდრიკსი.

კულუარული ინფორმაციით, დვალის სანაცვლოდ დაახლოებით 200 ათასი ევრო გადაიხადეს.

18 წლის ქართველმა მცველმა „რედინგთან" სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რასაც ბრიტანული კლუბის პრესსამსახურიც იუწყება.

თავიდან იყო ლაპარაკი, რომ ლაშა ინგლისელებს მხოლოდ 2014 წელს შეუერთდებოდა.

დვალი რიგის კლუბში წლეულს, ზამთარში გადავიდა, მაგრამ, საბუთებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, „სკონტოში" ოფიციალურად ივლისში ჩაირიცხა.

დვალმა ლატვიის ვირსლიგაში მხოლოდ ხუთი მატჩი ჩაატარა და საზარდულის ტრავმა მიიღო. მიუხედავად ამისა, ინგლისელებმა მაისამდე ლოდინი აღარ ისურვეს...

სხვათა შორის, ლაშა დვალით „როიალსი" (როგორც რედინგელებს სხვაგვარადაც უწოდებენ და რომლის მეპატრონე რუსი ბიზნესმენი ანტონ ზინგარევიჩია) ქართველი მცველით 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაინტერესდა.

ლაშა დვალის გაყიდვის შემდეგ, ლატვიის ჩემპიონატის ლიდერ „სკონტოში", რომელსაც თამაზ პერტია უდგას სათავეში, სამი ქართველი ლეგიონერი დარჩა: ირაკლი კლიმიაშვილი, ლადო დათუნაშვილი და ლევან ჭაჭიაშვილი.

2011 წლის შემდეგ, როცა „რედინგიდან" ზურაბ ხიზანიშვილი წამოვიდა, ინგლისში ქართველს აღარ უთამაშია. ასე რომ, დღეს უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ დვალმა ხიზანიშვილისგან ესტაფეტა ჩაიბარა.

კარმელოს იტალიელი აჩუქეს

ᲜᲐᲬᲐ ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲐ

კარმელო ენტონი

„ნიუ იორკ ნიქსი" ახალი სეზონის წინ ისვენებს. ახალი სეზონის წინ „ნიუ იორკი" ახალი შემადგენლობით ისვენებს და ახალ სეზონში ახალი „ნიუ იორკი" შედის. კარმელო ენტონისთან ერთად და ეს ძველი თემაა. ენტონი ამ გენერაციის პატრიკ იუინგია. სხვა ამპლუის, რომელიც იუინგივით ცენტრშია. არა პოზიციურად, ენტონი ყურადღების ცენტრშია და ეს გუნდი მისი პერსონალური პროექტია. თუ კარმელო ფორმაშია, გუნდი ბოლომდე გადის. თუ კარმელო ცოტა აჭრილია, გუნდი იმპროვიზაციით აგვარებს. იმპროვიზაციით ძნელია ლებრონებისა და უკეთესი გუნდების გაჩერება. „ინდიანა" უკეთესი გუნდია. „ჩიკაგო" უკეთესი გუნდია. ალბათ, მიხაილ პროხოროვის „ბრუკლინიც" უკეთესი გუნდია. „ნიქსი" მოუმატებს. „ნიქსი" რეგულარულის დროს უკეთესი იქნება. კარმელო ენტონის გარდა, იქ სხვებიც სხვა დონეზე არიან. სხვებიც გავიაროთ. კარმელოსთან ერთად.

პირველ ნომერზე რეიმონდ ფელტონი (ერთ, შემდეგ სეზონში 3 480 453 $) და არგენტინელი დოქტორი პაბლო პრიჯიონი (473 604) დგანან. ფელტონი უფრო მიმწოლია და პრიჯიონი კლასიკაა. პაბლოსთან ერთად კარმელოც უფრო მეტ ნდობას იღებს. პრიჯიონი თავის დროს მიიღებს და ამ პოზიციაზე „ნიქსს" არ ექნება პრობლემები.

მსროლელები ნორმალურ კუშს იღებენ და „ნიქსში" ყველა მსროლელია. მეორე ნომერზე გადასვლა შეუძლია პრიჯიონის. არგენტინის ნაკრებში ეს თითქმის არ ხდებოდა და ესპანეთში თარჯიმნობის დროს პრიჯიონი დგებოდა შუთერად. ამ პოზიციაზე უფრო მეტ დროს და მეტ დოლარს ჯეი არ სმიტი მიიღებს (2 806 452). სმიტი ცუდი დამცველი, კარგი მსროლელი, ნორმალური იმპროვიზატორი და ჩვეულებრივი მსმენელია. სმიტი არასრულ 3 მილიონზე მეტი ღირს და ჯეი არმა ეს იცის. ეს „ნიქსის" ბოსებმაც იციან და ახალ სეზონში ბიჭი მეტს მოითხოვს.

მსუბუქი ფორვარდი. აიმან შამპერტი (1 633 440). და მეტა უორლდ ფისი. რომელიც რონ არტესტია (7 258 460). შამპერტი პატარაა და არტესტი - უმართავი პერსონაჟი. შამპერტი მოუმატებს და ბიჭს არტესტის გამოცდილება, შარმი დაეხმარება. რონი დონია და შამპერტი - „ნიქსის" შემდეგი გენერაციის ახალი ტიპი. „ნიქსმა" იცის, რომ მესამე ნომერზე ასვლა მისტერ ენტონის შეუძლია. და კიდევ ერთ პერსონას. რომელიც, იდეაში, კლასიკური მეოთხე ნომერია.

მეოთხე ნომერზე ენტონი დგას და აქ პრობლემები უფრო დაცვაში მოდის. კარმელო სუსტი, უმოტივაციო დამცველია. ლებრონი კარმელოსთან ერთობა. უფრო სწრაფი ფორვარდები ენტონის ტეხავენ და თუ მწვრთნელები დაბალი ხუთეულით თამაშობენ, ენტონი დანკანებთან, გარნეტებთან, მოურიდებელ გერმანელებთან და სხვა მაღალ მილიონერებთან უშანსოდ რჩება. კარმელო ბლომად იღებს (19 444 504), კარმელო სტატისტიკასთან მეგობრობს და კარმელომ პრობლემები მოაგვარა. დაცვაში არ დაიღლება და სხვა კომპონენტებში დაშლის მეორე გუნდის დაცვას. ჩვეულებრივი კომბინაცია არაჩვეულებრივი ენტონისგან. მეოთხე ნომერზე „ნიქსმა" ერთი იტალიელი დაიმატა, რომელიც თავის დროზე დრაფტის პირველი ნომერი იყო. „ტორონტოში" ლამაზმა ბიჭმა დიდი კუში მოხსნა. ჯეისონ სტეთემის გარეშე და ერთჯერადი თამაშით. ეს იტალიელი ანდრეა ბარნიანია, რომელიც ამ რეგულარულში ზუსტად 10 000 000 დოლარს მიიღებს. „ნიქსი" იტალიელის აგრესიას ყიდულობს. ალბათ, ათ მილიონში სხვა ინგრედიენტიც იქნება. რჩება ცენტრის პოზიცია.

აქ ერთადერთი არჩევანია. ტაისონ ჩენდლერი, რომელიც ლიგის საუკეთესო დამცველი იყო „დალასში" და რომელმაც კრის პოლისგან ბევრი ლექცია მოისმინა. ჩენდლერის 13 604 188 მილიონი ნორმალური თანხაა. ნორმალური თანხა პერსონაჟისთვის, რომელიც ინერციით ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო დამცველად ითვლება და ინერციით სხვა ცენტრებს პრობლემებს უქმნის. ჩენდლერი ენტონის დაა ზღვევს. ჩენდლერი კლასია. ტაისონი „მედისონ სკვერ გარდენის" ტერიტორიას დაიცავს. ჩეულებრივი ამბავი ახალი ფორმაციის „ნიქსისთვის".

გასარკვევია ამარე სტაუდმაიერის სტატუსი. თუ ბიჭი, რომელსაც კლუბი ახალ სეზონში 19 948 799 დოლარს გადაუხდის, ბოლომდე ვერ გაიხსნება, ამარეს გაცვლიან. სტაუდმაიერი „დალასს" უნდა. სტაუდმაიერი „ლეიკერსმაც" გაიხსენა. ამარესთან ერთად, „ნიუ იორკს" ჰყავს კენიონ მარტინი, რომელიც ჯერ უკონტრაქტოდ სეირნობს „მედისონში" და რომელიც ამ კონტრაქტს მიიღებს. გუნდშია ბენო უდრიხი. სოლიდური თემაა. ნიუ იორკში რეალურად სოლიდური გუნდი იქნება. ვნახოთ, სადამდე გაქაჩავს.

„ნიუ იორკ ნიქსი" ახალი სეზონის წინ ისვენებს. ახალი სეზონის წინ „ნიუ იორკი" ახალი შემადგენლობით ისვენებს და ახალ სეზონში ახალი „ნიუ იორკი" შედის. კარმელო ენტონისთან ერთად და ეს ძველი თემაა. ენტონი ამ გენერაციის პატრიკ იუინგია. სხვა ამპლუის ტიპი, რომელიც იუინგივით ცენტრშია. არა პოზიციურად, ენტონი ყურადღების ცენტრშია და ეს გუნდი ბიჭის პერსონალური პროექტია. თუ კარმელო ფორმაშია, გუნდი ბოლომდე გადის. თუ კარმელო ცოტა აჭრილია, გუნდი იმპროვიზაციით აგვარებს. იმპროვიზაციით ძნელია ლებრონებისა და უკეთესი გუნდების გაჩერება. „ინდიანა" უკეთესი გუნდია. „ჩიკაგო" უკეთესი გუნდია. ალბათ, მიხაილ პროხოროვის „ბრუკლინიც" უკეთესი გუნდია. „ნიქსი" მოუმატებს. „ნიქსი" რეგულარულის დროს უკეთესი იქნება. კარმელო ენტონის გარდა, იქ სხვებიც სხვა დონეზე არიან. სხვებიც გავიარეთ. კარმელოსთან ერთად. სპაიკ ლი ძალიან საინტერესო სცენარს დაწერს.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink